პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

10 იანვარი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 7 (9924) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში

როცა ასეთი არჩევანია

ნაკრების უფროსი მწვრთნელი ყოველ შეჯიბრებას თავისი თვალთახედვით უყურებს. ეს უბრალოდ, მაყურებლისა კი არა, დამკვირვებლის მზერაა, რომელიც იმ წვრილმანებსაც წვდება, რასაც გულშემატკივრები ვერ ამჩნევენ. რესპუბლიკის ძიუდოისტთა ჩემპიონატის შთაბეჭდილებებზე (რომელიც გასულ შაბათს დამთავრდა თბილისში) ვესაუბრეთ საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს, ოლიმპიურ ჩემპიონს შოთა ხაბარელს.

შოთა ხაბარელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს შეჯიბრება თვით საბჭოთა კავშირის ჩემპიონატსაც შეიძლება შევადაროთ, — თქვა შოთა ხაბარელმა.

ამის თქმის უფლება, მართლაც, აქვს ქართველ სპეციალისტს. ის დიდი წარმატებები, თან რომ სდევს ჩვენს ძიუდოისტებს საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე, ყოველივე ეს მოდის დიდი დაინტერესებიდან და დიდი მეტოქეობიდან რესპუბლიკურ ტურნირებზე. ეს ყველაფერი, ჩვენში ჭიდაობის ტრადიციებთან ერთიანობაში, ქმნის ნოყიერ ნიადაგს მიღწევათა გასამრავლებლად. საქართველოში მართლაც იმდენი კარგი ძიუდოისტია, რომ მათი ერთად თავმოყრით დიდი, ნნშვნელოვანი ტურნირის ჩატარება შეიძლება.

ალბათ გასაგებია, რესპუბლიკური ჩემპიონატის პოტენციის რეალობას აღვნიშნავთ, მაგრამ საკითხი ისაა, რამდენად გამოიყენება ეს პოტენცია. შოთა ხაბარელს ამის შესახებაც ვკითხეთ.

— მე ჯერ არ მინახავს ასეთი დონის რესპუბლიკური ჩემპიონატი და არც ის, რომ ამდენი ცნობილი ძიუდოისტი გამოსულიყოს ამ შეჯიბრებაზე, ჩემპიონატის დონე კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა, უამინდობა რომ არა. დიდთოვლობის გამო ლენტეხიდან თბილისში ვერ ჩამოვიდნენ ონიანი და ქურასბედიანი, სოხუმიდან — თვალაძე, დგებუაძე და ჭელიძე, ქუთაისიდან — კიბორძალიძე და ხახალეიშვილი. მათ თანაქალაქელ გუბელაძეს კი სამი დღე მატარებელში გაეტარებინა და თუმცა ჩამოაღწია თბილისში, აბა, როგორღა იჭიდავებდა?..

⊙ კი მაგრამ, ტოტიკაშვილი, კურტანიძე, თენაძე?..

— ტოტიკაშვილი და თენაძე იაპონიაში გაემგზავრნენ ძიგარო კანოს სახელგანთქმულ ტურნირზე, სადაც მხოლოდ სახელოვან მოჭიდავეებს, ოლიმპიადებისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორებს იწვევენ. კურტანიძე მოსკოვშია და ალბათ, ისიც მათ შეუერთდება. ყოველ ძიუდოისტს ახლა მხოლოდ საპატიო მიზეზით აქვს უფლება გააცდინოს რესპუბლიკური ჩემპიონატი. სხვა შემთხვევაში მას ნაკრებ გუნდში არ გავიხერებთ.

⊙ უძლიერეს მოჭიდავეთა მონაწილეობას მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკური ჩემპიონატის პრესტიჟის ასამაღლებლად. მაგრამ, ამავე მიზნისთვის სხვა საშუალებებიც გამოსადეგია, რეკლამა, მაგალითად, ან ქალაქის ცენტრთან ახლოს უკეთესი ბაზის შერჩევა, სადაც უფრო იოლად მივლენ გულშემატკივრები.

— რეკლამა აუცილებელია. იაპონიის ჩემპიონატში გამარჯვებულ ლამის ეროვნულ გმირად გამოაცხადონ, ჩვენთან კი ცოტა ვინმე თუ ამჩნევს რესპუბლიკის ჩემპიონს. თუმცა ძიუდოში საქართველო, იაპონიასა და საფრანგეთს უტოლდება.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე ჩვენ შეიეგებს მივანიჭეთ დიდი ყურადღება, ქვეყნის ჩემპიონატი კარზეა მომდგარი — იგი 25 იანვარს დაიწყება მინსკში. ბევრი დრო არ დარჩა თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩატარებამდეც. მომავალში კი რეკლამას სერიოზულად მოვიდებთ ხელს. ძველი მოდელი რესპუბლიკური ჩემპიონატებისა უნდა მოვიშორით.

⊙ უძლიერეს ფალავანთა ტურნირში მონაწილეობა, ცხადია, კარგი სკოლა უნდა იყოს ახალგაზრდა მოჭიდავეებისათვის. რამდენად ამართლებენ ისინი იმედებს?

— სამდურავის საბაბი არ გვაქვს, მართლაც, გულიანად ჭიდაობენ ბიჭები. ბაკურიანში შეკრებაზე ერთად გვყავდნენ ჭაბუკებიც, ახალგაზრდებიც და დიდებიც. ეს იმ მიზნით გაკეთდა, რომ უმცროსებს უფროსებისაგან ბევრი რამ გაეგოთ და ესწავლათ. ცდამ გაგვიმართლა, ნახეთ, რა კარგად ჭიდაობენ ახალგაზრდები. არავის ეპუებიან. რომელი ერთი დავასახელო: გიორგაშვილი, ფოთოლაშვილი, ავაზნელი... არ დაგავიწყდეთ, რომ რამდენიმე ძალზე პერსპექტიული ჭაბუკი, ავალიანი, გავარდაშვილი, უზნაძე, სამუკაშვილი ახლა თანატოლთა საკავშირო პირველობებში მონაწილეობენ და აქ ვერ გამოვიყვანეთ.

⊙ წელან გუბელაძე ახსენეთ. როგორც ეტყობა, მას უკვე მიეცით შეჯიბრებებზე გამოსვლის უფლება.

— გუბელაძე სპორტსმენისთვის შეუფერებელი საქციელის გამო სამართლიანად დაისაჯა. მაგრამ იგი თავისი მომზადებით გვიმტკიცებს, რომ შეიგნო საკუთარი დანაშაული.

იხ. მე.2 გვ

ასახელებენ დეპუტატობის კანდიდატებს

როგორც ადრე ვიუწყებოდით, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებას, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ და არმიის სპორტკომიტეტს მიეცათ უფლება წამოაყენონ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის თავიანთი კანდიდატები. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის ბ. როგატნისა და. სპორტის დამსახურებული ოსტატის, ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნ. გაფრინდაშვილის დასახელების შესახებ.

• • •

გაიმართა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს საერთო კრება, რომელზედაც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამავე საზოგადოების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. სისოევი და ოლიმპიური ჩემპიონი დ. გობეჯიშვილი.

დინამოელი ვეტერანები მეორე ადგილზე

საქართველოს ტელევიზიის თანამშრომელი მალხაზ რადიანი ზაარბრუკენიდან გვატყობინებს: ამ ქალაქში დამთავრდა ვეტერან ფეხბურთელთა XVII საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში, რომელშიც პირველად გამოდიოდნენ თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელები.

ასპარეზობის მონაწილენი ორ ქვეჯგუფში ასპარეზობდნენ, სადაც თითოეულმა გუნდმა ჩაატარა 4-4 შეხვედრა. თბილისის „დინამო“ ფინალში გავიდა და შეხვდა „ჰამბურგს“. გაიმარჯვეს ჰამბურგელებმა — 2:0.

თბილისის „დინამოს“ ვეტერანთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ურუშაძე, კოსტავა, ჩივაძე, სულაქველიძე, შენგელია, კოპალეიშვილი, ქორიძე, ძმები მაჩაიძეები და ნოდიები.

აღსანიშნავია, რომ მეტოქეთა კარში 5 ბურთი გაიტანა მ. მაჩაიძემ, 2 ქორიძემ, თითო შენგელიამ, სულაქველიძემ, ლ. ნოდიამ, ჩივაძემ და კოსტავამ. სპორტულმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა ქართველ ფეხბურთელთა ოსტატობას.

მესამე ადგილზე გავიდა მაგდებურგის გუნდი, რომელმაც 10:3 სძლია ასპარეზობის მასპინძლებს.

ინფორმაცია

ოგერჰოფი (გდრ). ციგაოპაში მსოფლიო თასის მორიგ ეტაპზე ლენინგრადელებმა იულია ანტიპოვამ და ირინა კუსაკინამ შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს. გამარჯვება კი მასპინძელთა გუნდის ლიდერმა უტე ობერჰოფნერმა მოიპოვა. ვაჟთა შორის ეტაპი ზამთრის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა გეორგ ჰაკლმა მოიგო.

იგლისი (ავსტრია). ოთხადგილიან ბობსლეისტთა მსოფლიო თასის გათამაშებას ლიდერობს კალგარის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, გდრ-ის ეკიპაჟი (პილოტი ვოლფგანგ ჰოპე). საბჭოთა ბობსლეისტები ჯერჯერობით მეშვიდე და მეცხრე ადგილებზე არიან.

„ვერდერისა“ და „დინამოს“ მატჩისადმი უჩვეულო ინტერესი

დღეს, როგორც ცნობილია, თბილისის „დინამო“ საქველმოქმედო მატჩს ჩაატარებს ბრემენის „ვერდერთან“, მთელი შემოსავალი კი მიწისძვრისაგან დაზარალებული სომხეთის მოსახლეობის ფონდში გადაირიცხება.

მატჩისადმი დიდ ინტერესს იჩენენ ისეთი ცნობილი საფეხბურთო ქვეყნები, როგორიცაა გფრ, იტალია და ესპანეთი. ამ სახელმწიფოებმა მოითხოვეს მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი. თბილისში უკვე ჩამოვიდნენ გერმანელი და ესპანელი კომენტატორები, იტალიაში მიღებულ პირდაპირ გამოსახულებას კი ადგილზე, რომში გაუკეთებენ კომენტარს. მატჩი გადაიცემა აგრეთვე ცენტრალური ტელევიზიით.

„ვერდერის“ ფეხბურთელები დღეს 12 საათზე პირდაპირი რეისით ჩამოდიან თბილისში. გუნდს თან ახლავს გულშემატკივართა ასკაციანი ამალა.

თავი ისახელეს...

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა გორგოძე აჯილდოვებს გამარჯვებულებს. ა. კოტორაშვილის ფოტო.

ახლახან სარატოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩემპიონატი უიარაღოდ თავდაცვაში. ამ სიტყვების გაგონებაზე თქვენ, ალბათ, იფიქრებთ, რომ სარატოვში შეკრებილმა საბჭოთა მილიციელებმა ჭიდაობა სამბოში იასპარეზეს, მაგრამ ასე არ იყო —შეჯიბრება ორ ტურად ჩატარდა, სამბოს პროგრამის მეორე ნაწილი დაეთმო, პირველ ტურში კი წესრიგის დამცველთა მიერ შეიარაღებული მოწინააღმდეგის უვნებელყოფის ოსტატობა შემოწმდა. ერთი სიტყვით, ჩემპიონატი რუხფარაჯიანთა პროფესიული მომზადების საკავშირო დათვალიერება, ესე იგი, ფრიად პრესტიჟული შეჯიბრება გახლდათ.

თუმცა, სარატოვში გამართული ორთაბრძოლების სიმძაფრეს მარტო შეჯიბრების პრესტიჟულობა როდი განაპირობებდა. ჩემპიონატის სპორტული დონეც ერთობ

იხ. მე.3 გვ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

მინსკში აღებული სამი ქულა

ჩატარდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

მინსკი. თბილისის დინამოელებმა ორი მატჩიდან ერთი მოიგეს, ადგილობრივ რტი-სთან

პირველ შეხვედრაში ბრძოლა უაღრესად მძაფრი და შეუპოვარი იყო. ტაიმი მინსკელებმა 5 ქულით მოიგეს (48:43). შესვენების შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა, რომლებმაც ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, მერე დაწინაურდნენ და საბოლოოდ გამარჯვება მოიპოვეს — 88:84.

განმეორებით შეხვედრაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა 80:65 (44:33).

კიევი. როგორც იქნა „სტროიტელიც“ ჩაება გათამაშებაში. ამ ტურში მან რიგის ვეფ-ს უმასპინძლა და ორივე შეხვედრა მოიგო 92:81 (46:34) და 89:79 (50:39).

ლენინგრადი. ადგილობრივი „სპარტაკი“ დონეცკის „შახტიორს“ მასპინძლობდა. პირველი შეხვედრა უმძაფრესი ბრძოლის შემდეგ დონეცკელმა კალათბურთელებმა მოიგეს 79:78 (41:52). მეორეში კი წარმატებას სპარტაკელებმა მიაღწიეს — 88:54 (39:30).

მოსკოვი. ცსკა-მ მორიგი ტურის პირველი მატჩი მოუგო ტალინის „კალევს“ — 92:79 (51:38).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 იანვრისთვის

„დინამო“ (მოსკოვი)	18	10	8	1803-1745	28
ასკ (ალმა-ათა)	16	11	5	1541-1489	27
ცსკა	13	13	0	1312-1036	26
„შახტიორი“ (დონეცკი)	18	6	12	1391-1527	24
„სპარტაკი“ (ლენინგრ.)	18	6	12	1454-1551	24
„სტროიტელი“ (კიევი)	12	11	1	1177-1054	23
„კალევი“ (ტალინი)	15	7	8	1300-1282	22
„დინამო“ (თბილისი)	16	6	10	1369-1444	22
ვეფ (რიგა)	20	2	18	1692-2013	22
„სტატტა“ (ვილნიუსი)	14	6	8	1287-1238	20
რტი (მინსკი)	14	6	8	1171-1197	20
„უალგირისი“ (კაუნასი)	8	7	1	800-781	15

საქართველოს ჩემპიონები

ტარიელ ჯავახიშვილი | არსენ აზალაძე | ტრისტან ბაშარული | ბესიკ ქოქოევი | ანზორ თენაძე | დავით ბაგაური | ზაზა დაბრუნდაშვილი | ლერი ყორყოლიანი

როცა ასეთი არჩევანია

(დასასრული)

რომ იტყვიან, დღე-ღამეს ასწორებს ვარჯიშში, სასჯელს შემდეგ დღეც არ გაუცდენია. არ შეიძლება არ აფასებდე შრომისმოყვარე ადამიანებს...

⊙ ალბათ დამეთანხმებით, საქართველოს ნაკრების სიძლიერე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შევსებას იღებს იგი რეგიონებიდან. საერთო აღიარებით, ჩვენში ძიუდო აღმავლობის გზით მიდის, მაგრამ ისეთი ფუფუნების უფლება არ უნდა გვქონდეს, რომ შევურიგდეთ ძიუდოს ამა თუ იმ ცენტრის ცუდ მუშაობას. როგორაა საქმე ამ მხრივ რაიონებში?

— რაიონებიდან ნაკრებ გუნდებში მუდამ კარგი შევსება მოდიოდა და სიამოვნებით მინდა გაცნობოთ, რომ ეს პროცესი უფრო ნაყოფიერი და ინტენსიური გახდა. კარგი ფალავნები იზრდებიან გორში, თელავში, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქუთაისი და სოხუმი, სადაც მწვრთნელთა მუშაობა უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. კარგი შევსება მოდის საგარეჯოდან, გარდაბნიდან, ქარელიდან, თბილისში ხომ არიან და არიან ნიჭიერი ძიუდოისტები. დუშეთიც ავამოქმედეთ, იქ მივავლინეთ ჩვენი გამოცდილი მწვრთნელი სულიკო ფეიქრიშვილი და უკვე შედეგიც არის. ჯიქური, ფოთოლაშვილი და ჭელიძე სწორედ დუშელები არიან.

მაგრამ ყველა რეგიონზე ვერ ვიტყვი კარგს. ფაქტიურად ნულზეა დასული მუშაობა ბათუმში, ქობულეთში, მახარაძეში. ამ შეჯიბრებაზე არც ხაშურმა გამოიყვანა გუნდი. ჩვენ „დასაკარგი“ რეგიონი მართლაც არა გვაქვს, მაგალითად, სახელოვანი ძიუდოისტი რამაზ ხარშილაძე ხაშურიდან არის და ზოგიერთების უპასუხისმგებლობით, ვინ იცის, როგორ ჩემპიონებს ვკარგავთ. თუ სპეციალისტი ან ინვენტარი სჭირდებათ, გვთხოვონ და დავეხმარებით, მაგრამ ხმასაც რომ არ იღებენ?

⊙ არის თუ არა სხვა ხელშემშლელი მიზეზები?

— თუ შეჯიბრებას გულისხმობთ, არის. დებულებაში, რაიონებს რომ დავუგზავნეთ, გარკვევით წერია, რამდენი სპორტსმენი, გუნდის წარმომადგენელი და მსაჯი უნდა მოავლინონ. ვითომც არ წაუკითხავთ. ასპარეზობას უმსაჯოდ რა ფასი აქვს. იძულებულნი გავხდით რაიონების ხელმძღვანელებს წერილი გავუგზავნოთ, ასეთი რამ აღარ განმეორდეს.

⊙ რამდენი მოჭიდავის გამოყვანის უფლება გაქვთ ქვეყნის ჩემპიონატში? იქნებ პროგნოზის უფლება მისცეთ თავს?

— ოცდაათის. მაგრამ ჩვენ საკავშირო სპორტსახკომს გავუგზავნეთ თხოვნა, რომ კიდევ 6 ჩვენი ფალავანი დაუშვან ჩემპიონატში. ბიჭები ამას იმსახურებენ. აქ, საქართველოს ჩემპიონატში, ზოგი მოჭიდავე უფრო მაღალ წონაში გამოდიოდა, მაგალითად გოგიჩაშვილი, ჯაფარიძე, მოდებაძე და სხვები. ეს იმიტომ მოხდა, რომ მოჭიდავეებს მოკლე ხაწში ორჯერ (მეორედ — ქვეყნის ჩემპიონატის წინ) არ დაეკლოთ წონა, რაც ძალზე არასასურველია.

რაც შეეხება პროგნოზს, ვფიქრობ, გამარჯვების ძალზე კარგი შანსი გვაქვს 60, 65, 71 და 95 კილოგრამ წონებში. აიღეთ თუნდაც უფრო დაბალი წონები, სადაც გამოვლენ ტოტიკაშვილი, ბასილაშვილი, ლომთაძე და ქურასბედიანი... არც მძიმე წონებში გვყავს ცუდი შემადგენლობა, ყველამ იცის კურტანიძის, ჯიბორძალიძის, ხახალეიშვილის, დაბრუნდაშვილის ძალა.

...შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჩემპიონატისგან მიღებული შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვეთ ჩვენი ძიუდოს პატრიარქს **ბიძინა მაზიაშვილს,** რომელიც მთავარი მსაჯის მოვალეობას ასრულებდა.

— ჩემპიონატი მართლაც მაღალი დონისა იყო. ძალზე ნიჭიერი ბავშვები იზრდებიან. ბოლო საწვრთნელ შეკრებაზე 65 სპორტსმენი გვყავდა და ვერც ერთს ვერ შეველეოდი ნაკრებიდან. ძიუდო ჩვენში მართლაც კარგად ვითარდება.

მაგრამ მე ერთ საკითხზე მინდა გავამახვილო ყურადღება — ძალზე გვაკლდა მსაჯები. იმ ჩვენი არბიტრების მისამართით მინდა ვთქვა, რომლებიც საერთაშორისო ტურნირების დროს ყველას დასანახად ამაყად დასეირნობენ სპორტის სასახლეში. მარტო დიდ ტურნირებში მსაჯობა არ კმარა, უნდა მოვიდნენ და ეს „შავი“, მაგრამ ძალზე საჭირო სამუშაო არ ითაკილონ. თორემ რასა ჰგავს, პირდაპირ დაიხოცნენ აქ მყოფი მსაჯები, ამდენ ორთაბრძოლას ვეღარ აუდიოდნენ. მსაჯთა რესპუბლიკურმა კოლეგიამაც ხელი უნდა გამოიღოს, სემინარები ჩაატაროს.

იმაზეც დამწყდა გული, რომ ძველი ჩემპიონები ვერ დავინახე დარბაზში. აი, ჯიბილო ნიჟარაძე მოვიდა, ბავშვებს გეეგონათ მისი სახელი და ყველა მას მისჩერებოდა. ალბათ ზედმეტია იმის თქმა, თუ რამდენად საჭიროა ცნობილი ძიუდოისტების დასწრება ასეთ შეჯიბრებებზე.

...და ბოლოს, ერთი პრიზის შესახებ, რომელიც დაარწმუნა (აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებულისთვის) ინდუსტრიულმა ტექნიკუმმა (დირექტორი ციური აფხაზავა). იმედია, მომავალ შეჯიბრებაზე მას სხვა ორგანიზაციებიც მიბაძავენ.

გიორგი ჩოჩიშვილი.

21/3 ქვარცხლბეკი

60 კგ. 1. ტარიელ ჯავახიშვილი (საგარეჯო); 2. გიგლა ადიბეგოვი (თბილისი); 3. გია კელიხაშვილი (დუშეთი) და მამუკა კურდღელაშვილი (საგარეჯო).

65 კგ. 1. არსენ აზალაძე (გორი); 2. ბადრი ბასილაშვილი (საგარეჯო); 3. დავით ნაკანი (მესტია) და ვერაბ ტოტიკაშვილი (გარდაბანი).

71 კგ. ტრისტან ბაშარული; 2. ხვიჩა ბუძიშვილი; 3. ჯონი თურქაძე და გურამ მოდებაძე (ყველა — თბილისი).

78 კგ. 1. ბესიკ ქოქოევი (ქარელი); 2. ოლეგ რატიანი (თბილისი); 3. დავით ფიცხელაური და ჯემალ გუდიევი (ცასპი).

86 კგ. ანზორ თენაძე; 2. ენგურ გოგიჩაშვილი (ორივე — გორი); 3. თამაზ ნავერიანი (მარნეულის რაიონი) და თამაზ სააკაშვილი (თბილისი).

95 კგ. 1. დავით ბაგაური (ახმეტა); 2. გია მუმლაძე (რუსთავი); 3. ლერი ყორყოლიანი (გარდაბნის რ-ნი) და გენადი მუმლაძე (ქუთაისი).

+ 95 კგ. 1. ზაზა დაბრუნდაშვილი (თბილისი); 2. გელა ბერუაშვილი (ქარელი); 3. ვალერი პარუნაშვილი (თბილისი) და კობა გურჩიძე (ზესტაფონი).

აბსოლუტური. 1. ლერი ყორყოლიანი (მარნეულის რ-ნი); 2. მიხეილ ხუმარაძე, 3. დავით ჩოჩიშვილი (ორივე — გორი) და ერეკლე გურჩიანი (თბილისი).

გუნდური. 1. თბილისი; 2. გორი; 3. ქარელი; 4. მარნეულის რ-ნი; 5. საგარეჯო; 6. რუსთავი.

ფიზკულტურის მასწავლებელი

ყველაზე დიდი ჯილდო

სასკოლო რეფორმა ძნელად მკვიდრდება განათლების სისტემაში და ამას საკავშირო XIX პარტკონფერენციამ უტყუარი შეფასებაც მისცა.

ახლა, გარდაქმნის რთულ და საპასუხისმგებლო ხანაში, როცა ბრძოლა გვიხდება სიახლის მთრგუნველ მექანიზმთან, უდიდესი როლი ენიჭება მაგალითის ძალას. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენს ირგვლივ თუ შუაგულში არიან ადამიანები, რომელთა პროფესიულ და მოქალაქეობრივ ღირსებებზე ღირს ლაპარაკი.

ამჯერად გვინდა ფართო საზოგადოებას მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის საშუალო სკოლის პედაგოგი ლევან ცქვიტინიძე გავაცნოთ.

ომგადახდილი და მკერდდამშვენებული კაცი ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1951 წლიდან მოყოლებული დღემდე ფიზკულტურის მასწავლებელია. მისი აღსაზრდელები ათეული წლების განმავლობაში ახარებენ პედაგოგს.

სამწუხაროდ, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არათუ სკოლას, სოფელსაც არ გააჩნია, ამიტომ ცქვიტინიძე ხშირად თავის აღსაზრდელებს სათავეში ჩაუდგება ხოლმე და ტურისტული ბილიკებით მიიმართება. მოსწავლეები ჯანმრთელობასაც იკაჟებენ და თვალსაწიერსაც იფართოებენ. დამსახურებისათვის იგი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ და საბჭოთა კავშირის სახალხო განათლების წარჩინებული ამკერდე ნიშნებით. 1986-87 სასწავლო წელს წლის საუკეთესო მასწავლებლად აღიარეს და საპატიო სიგელითაც დაჯილდოვეს, მაგრამ მასწავლებლისთვის ყველაზე დიდი ჯილდო თავისი აღსაზრდელების ჯანმრთელობაა.

მერაბ სადღეგელაშვილი.

ეს ჩვეულებრივი და უჩვეულო ასპარეზობა

თითქოს ჩვეულებრივი შეჯიბრება იყო, მაგრამ ამასთანავე უჩვეულოც. საქმე მხოლოდ ის კი არაა, რომ ასპარეზობის პირველ დღეს სპორტსმენები საერთო ფიზიკურ მომზადებაში ამარებდნენ ნორმატივებს. მთავარი ის იყო, რომ გუნდში აუცილებლად უნდა ყოფილიყო 185 სანტიმეტრი სიმაღლის სამი მოთამაშე (მათ შორის ერთი მეკარე).

ყველაფერი ეს იყო საბჭოთა კავშირის ზონალურ პირველობაში 1973-1974 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ხელბურთელთა შორის, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა თბილისში, ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის დარბაზში. სარბიელზე გავიდნენ მოსკოვის, რუსეთის ფედერაციის, ლატვიის, ლიტვის, უზბეკეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

კარგად ითამაშეს ჩვენმა ჭაბუკებმა (მწვრთნელი რევაზ ჭანტურია). მათ დაამარცხეს ლატვიელი (24:21), ლიტველი (25:23), უზბეკი (38:26), მოსკოველი (26:22) თანატოლები და მხოლოდ დაძაბულ ბრძოლაში წაგაგეს (19:20) შარშანდელ საკავშირო პირველობაში გამარჯვებულ რუსეთის ფედერაციის გუნდთან.

საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ხელბურთელებმა საბჭოთა კავშირის პირველობის ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ძირითადად დაკომპლექტებული იყო თბილისის სახალხო განათლების ბავშვთა და მოზარდთა ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის (დირექტორი — სპორტის ოსტატი ზაზა დოლიძე) აღსაზრდელებით. თავი გამოიჩინეს გუნდის კაპიტანმა ზაზა მერაბიშვილმა, გოჩა ხუბაევმა, გივი ჯაფარიძემ (რომლის სიმაღლე 193 სანტიმეტრია!), ქუთაისელმა ალეკო ბოყოჩაძემ. მათ გარდა გუნდში თამაშობენ თემურ კინწურაშვილი, გიორგი ბარათაშვილი, კოტე კიკნაძე, კობა ვაჩეიშვილი, ოვანეს ოგანესიანი და ბათუმელი მერაბ უშვერიძე.

აღსანიშნავია, რომ გუნდის წევრებიდან ათი მოთამაშე სწავლობს თბილისის 160-ე საშუალო სკოლის (დირექტორი შურმან მელაძე) სპორტულ კლასში (დამრიგებელი ვარლამ ტაბატაძე),

თვითნებაზე მიშვებული საქმე

აჭარის IV ახალგაზრდულ თამაშებში, რომლის პროგრამაში სპორტის 12 სახეობა შედიოდა, ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს გუნდები გამოდიოდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, საერთო გუნდური გამარჯვება ბათუმელებს დარჩათ. მათმა გუნდებმა 9 პირველი და 3 მეორე ადგილი დაიკავეს. მეორე იყო ქობულეთის ნაკრები, რომელმაც მხოლოდ ერთი პირველი ადგილი მოიპოვა. საერთო გუნდურ პირველობაში მესამე აღმოჩნდა ხელვაჩაურელთა ნაკრები.

ახლა, როცა უკან დარჩა ამ ასპარეზობის ორთვიანი მარათონი, შეიძლება ანალიზი გავუკეთოთ მის შედეგებს.

ამთავითვე ვიტყვით, რომ შედეგები ძალზე დაბალი იყო. ეს განსაკუთრებით მაღალმთიანი რეგიონების წარმომადგენლებზე ითქმის. მაგალითად, მძლეოსნობაში ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო მესამე თანრიგის ნორმატივის შესრულება. ასევე ცუდი შედეგები ჰქონდათ ტყვიის მსროლელებს, უფრო მეტიც, ეს სახეობა ბათუმშიც კი დავიწყებას მიეცა, არსად არ მოქმედებს კრივის სექცია.

— მაინც, რამ განაპირობა თამაშებზე ასეთი დაბალი შედეგები? — ვეკითხებით აჭარის სპორტსახკომის თავმჯდომარეს თ. ბოლქვაძეს.

— უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ბათუმის გარდა აჭარაში არსად არ აშენებულა სპორტული დარბაზი, — გვეუბნება თ. ბოლქვაძე, — უფრო მეტიც, სათანადოდ არსებული ბაზებიც კი არ შეკეთებულა. არც ერთ რაიონში არა გვაქვს საცურაო აუზი, ჩოგბურთის კორტი, მძლეოსნური სექტორები. ტირი მხოლოდ ქედის რაიონში გვქონდა, მართალია, პრიმიტიული, მაგრამ მაინც შეიძლებოდა სპორტის ამ სახეობაში მეცადინეობა. დრო-ჟამმა, რაიონის ხელმძღვანელობისა და სპორტის მესვეურთა უყურადღებობამ, უსულგულო დამოკიდებულებამ საერთოდ სპორტისადმი, ეს ტირიც შეხზირა. ძირითადად სწორედ სპორტული ბაზების უკმარისობამ, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში, განაპირობა შედეგების ასეთი დაბალი დონე. რა თქმა უნდა, დღევანდელი მოთხოვნების შესატყვისად ვერც მწვრთნელები და სპეციალისტები მუშაობენ. მათ თავიანთი საქმიანობა ჯერ კიდევ ვერ გარდაუქმნიათ და ყველაფერი თვითდინებისათვის მიუნდვიათ.

ნათქვამს ერთსაც დავძენთ — ახალგაზრდულ თამაშებში რაიონების ბევრი გუნდი საასპარეზოდ ერთიანი სპორტული ფორმით ვერ გამოდიოდა. მათ განსხვავებული მაისურები და სპორტული კოსტიუმები ეცვათ, ზოგიც სარბიელზე ყოველდღიურად საზმარი ფეხსაცმლითაც გამოვიდა და ესეც ცალკეული სპორტის ხელმძღვანელის უგერგილო მუშაობის შედეგია.

ლევან ქავჭარაძე,
„ლელოს“ საკ. კორ.

ბათუმი.

მოსწავლეთა არდადეგებზე

მთავარია, ავამაღლოთ ინტერესი

კვირას თბილისის საბურთალოს რაიონის პირველ ექსპერიმენტალურ, მე-60, 61-ე, 62-ე საშუალო სკოლებს ვეწვიეთ, მაგრამ ამაოდ გავიარჯეთ — შეჯიბრებები არც ერთ სკოლაში არ ჩატარებულა.

თუმცა, 62-ე სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელი გელა კანაჩაძე დაგვხვდა. მან სკოლის შესასვლელთან გვანახა გამოკრული განცხადება, რომელიც იუწყებოდა, რომ მსურველებს არდადეგების პერიოდში საშუალება აქვთ კალათბურთში, ფრენბურთსა და ფეხბურთში ისასპარეზონ ყოველდღე, გარდა კვირისა.

ასეთივე განცხადება იყო გამოკრული მე-60 სკოლაშიც.

ვფიქრობთ, სარბიელზე ბავშვების „ყურით“ მიყვანას ისევ ასეთი განცხადება სჯობს. მთავარია, მოზარდებში ავამაღლოთ ფიზკულტურისადმი ინტერესი, შეჯიბრებებზე ბავშვებს უნდა მიუხაროდეთ, რაც, სამწუხაროდ, არ იგრძნობა. უმეტეს შემთხვევაში არდადეგების პერიოდში დაგეგმილი ღონისძიებები იძულებითია და ფორმალურ ხასიათს ატარებს. **მერი დიღმელაშვილი.**

თავი ისახელეს...

(დასასრული)

მაღალი იყო — აქ შეკრებილთა შორის მრავლად იყვნენ წარსულში ცნობილი სპორტსმენები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულნი და პრიზიორები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდის წევრთა „ნამსახურობის“ სია, ერთი შეხედვით, უფრო მოკრძალებული იყო, ქართველ მილიციელთა გუნდში „მხოლოდ“ სპორტის ოსტატები იყვნენ სამბოსა და ჯიუდოში, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, მათგან საუკეთესოებმა ტოლი არავის დაუდეს.

57 კგ წონით კატეგორიაში ორჭიდის ჯამში ყველას აჯობა მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის IV კურსის მსმენელმა, რიგითმა შალვა ტალახაძემ. 62 კგ წონაში მესამე ადგილი დაიკავა მისმა თანაგუნდელმა, რიგითმა გია ნაცვლიშვილმა.

მეორე ტურში, ანუ უშუალოდ სამბოში თავი ისახელა თეიმურაზ შეთეკაურმა — ამ სახეობაში იგი პირველ ადგილზე გავიდა, ორჭიდში კი IV ადგილი დაიკავა. სამბოში მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა, აგრეთვე, არჩილ წიკლაური.

შეჯიბრებისთვის გუნდი მოამზადეს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ფიზმომზადების ინსპექტორმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ვალერი ერანოსიანმა, მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის ფიზმომზადების მასწავლებელმა, მილიციის კაპიტანმა გენადი პაპუნაშვილმა, პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ოპერრწმუნებულმა, ლეიტენანტმა დიმიტრი ხუციშვილმა და 26 კომისრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორმა ვიაჩესლავ გალიაროვმა.

გუშინ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ჩემპიონატის მონაწილეებს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა გორგოძემ დაჯილდოვა გამარჯვებულნი და პრიზიორები, გადასცა მათ სამკერდე ნიშნები, საპატიო სიგელები და საჩუქრები.

დაჯილდოების შემდეგ ვესაუბრეთ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფიზმომზადებისა და სპორტის განყოფილების უფროსს, შინაგანი სამსახურის უფროს ლეიტენანტს იგორ ბარსკის.

— ფიზიკური კულტურა და სპორტი საბჭოთა მილიციელების პროფესიული და საბრძოლო მზადყოფნის საწინდარი და ორგანული ნაწილია. თუ მილიციელი ფიზიკურად სათანადოდ მოუმზადებელია, მას, ცხადია, პროფესიული მოვალეობის შესრულება ძალზე გაუჭირდება, მით უმეტეს ახლა, როცა დამნაშავეთა საყაროს წარმომადგენლები უფრო შენიღბულად და დახელოვნებულად მოქმედებენ. არადა, სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა ოპერატიული დავალებების შესრულებისას მილიციელთა ტრავმატიზმისა და, ზოგ შემთხვევაში, სიკვდილის მიზეზი, სწორედ ფიზიკური მოუმზადებლობაა. სამწუხაროდ, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებების ზოგიერთი ხელმძღვანელი სათანადო შეფასებას არ აძლევს ამ გარემოებას, არ უქმნის თანამშრომლებს პროფესიული დონის ამაღლების პირობებს. ამჟამად რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს ამ საკითხს, ასე რომ, ამიერიდან მილიციელთა პროფესიული მოამზადების ნებისმიერი დათვალიერება, რესპუბლიკური თუ საკავშირო ჩემპიონატები, საკონტროლო შემოწმების თვალსაზრისითაც განიხილება.

ინფორმაცია

ლახი. (შვეიცარია). სუპერგიგანტურ სლალომში ვაჟთა მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი შვეიცარიელმა მარტინ ჰანგლმა მოიგო. ფრანგი ფრანკ პიკარი, რომელმაც ახლახან ოპერაცია გადაიტანა, მეშვიდე ადგილზე გავიდა.

ბრაზილი (გფრ). ფრენბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში სვერდლოვსკის „ურალოჩკამ“ მეორე ადგილი დაიკავა. ფინალში იგი დამარცხდა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთან კუბის ნაკრებთან — 2:3.

გამოვლინდა 8 საუკეთესო

მსოფლიო ჩემპიონატი მინიფეხბურთში

ჰოლანდიაში გრძელდება პირველი ოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი მინიფეხბურთში დახურულ დარბაზებში. კვირას გამართულ შეხვედრათა შემდეგ გამოვლინდნენ წინასწარ ჯგუფებში გამარჯვებულნი.

გათამაშების შემდგომ ეტაპზე ბრძოლას განაგრძობენ ჰოლანდიის, პარაგვაის, ბრაზილიის, უნგრეთის, ბელგიის, არგენტინის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის გუნდები. დღეს გაიმართება მეოთხედფინალური შეხვედრები, რომლებიც გამოავლენენ ნახევარფინალის მონაწილეებს.

მსოფლიო ჩემპიონატის [illegible] ტური 15 იანვარს შედგება [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა



საერთაშორისო ფეხბურთი: ფედერაციის ცხრილები

გაიმართა უცხოელთა საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

საბერძნეთი

XIII ტური. გამოტოვებული მატჩები: აეკი — „ირაკლისი“ 0:0, „პაოკი“ — „ვოლოსი“ 1:1, „ოფი კრეტა“ — „არისი“ 1:0.

„აეკი“	13	19-7	19
„პაოკი“	13	21-13	18
„ოლიმპიაკოსი“	13	25-11	17

შოტლანდია

XXI ტური. „სელტიკი“ — „ჰარტსი“ 4:2, „დადი“ — „აბერდინი“ 2:0, „ჰამილტონი“ — „რეინჯერსი“ 0:1, „ჰიბერნიანი“ — „მოზერეული“ 2:0, „სენტ მირენი“ — „დანდი იუნაიტედი“ 0:1.

„რეინჯერსი“	21	31-14	31
„დანდი იუნაიტედი“	21	28-11	29
„აბერდინი“	21	26-19	27

ინგლისი

XIX ტური. „ასტონ ვილა“ — „არსენალი“ 0:3, „ჩარლტონი“ — „ვესთ ჰემი“ 0:0, „დერბი“ — „მილუოლი“ 0:1, „ევერტონი“ — „ქოვენთრი“ 3:1, „მანჩესტერი“ — „ლივერპული“ 3:1, „ნორვიჩი“ — „მიდლსბრო“ 0:0, „შეფილდი“ — „ნოტინგემი“ 0:3, „საუთჰემპტონი“ — „ქუინს პარკი“ 1:4, „ტოტენჰემი“ — „ნიუკასლი“ 2:0, „უიმბლდონი“ — „ლუტონი“ 4:0.

„არსენალი“	18	40-20	37
„ნორვიჩი“	19	28-19	37
„მილუოლი“	18	29-21	30

პორტუგალია

XIX ტური. „პორტიმონენსე“ — „ვისეუ“ 1:1, „გიმარაეში“ — „მარიტიმო“ 1:1, „ესპინიო“ — „ფარენსე“ 3:1, „პენაფიელი“ — „ბელენენსეში“ 1:1, „ბოავისტა“ — „ბენფიკა“ 2:1, „სპორტინგი“ — „პორტო“ 1:2, „ამადორა“ — „ლეიქსოეში“ 0:3, „სეტუბალი“ — „ბეირა“ 2:1, „მადეირა“ — „ბრაგა“ 2:1, „შავიში“ — „ფაფე“ 1:0.

„ბენფიკა“	19	28-8	30
„პორტო“	19	21-7	28
„სპორტინგი“	19	27-20	22

შვეიცარია

XXIII ტური. „იანგ ბოისი“ — „ლოზანა“ 1:0. „ლუგანო“ — „სერვეტი“ 1:4, „ლუცერნი“ — „ვეტინგენი“ 1:3, „ქსამაქსი“ — „სიონი“ 1:3, „არაუ“ — „ბელინცონა“ 3:0.

„ლუცერნი“	23	28-28	28
„გრასჰოპერსი“	22	41-29	27
„სიონი“	23	28-22	26

ესპანეთი

XVI ტური. „რეალი“ — „ესპანიოლი“ 4:1, „სევილია“ — „მურსია“ 3:0, „ატლეტიკო“ — „ბარსელონა“ 1:3, „სარაგოსა“ — „მალაგა“ 4:1, „ბილბაო“ — „ვიგო“ 2:0, „ვალენსია“ — „სან სებასტიანი 1:0, „ოვიედო“ — „ლოგრონიესი“ 1:1, „კადისი“ — „ვალიადოლიდი“ 1:1, „ელჩე“ — „ბეტისი“ 0:0, „ოსასუნა“ — „ხიხონი“ 0:0.

„რეალი“	16	39-16	27
„ბარსელონა“	16	33-12	25
„სევილია“	16	24-15	20

(სპა. ინფ.).

კიევის „დინამოს“ წარმატება

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ შტუტგარტში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში, გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამო“ და შტუტგარტის კლუბი ვფბ. კიელელმა ფეხბურთელებმა წარმატებით ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0 (2:0). ბურთები გაიტანეს რაცმა, ლიტოვჩენკომ და პროტასოვმა.

მანამდე, ნახევარფინალში, კიელელებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ბელგრადის „პარტიზანი“ — 2:1 (0:0). მესამე ადგილისთვის „პარტიზანი“ მიუნჰენის „ბაიერს“ შეხვდა და გაიმარჯვა ანგარიშით 3:2 (1:0).

იტალია-90

შესარჩევი მატჩები

ახალი წლის დღეებში აფრიკისა და აზიის კონტინენტებზე გაიმართა მსოფლიოს მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. გთავაზობთ მათ შედეგებს: ალჟირი — ზიმბაბვე 3:0, კატარი — იორდანია 1:0, ომანი — ერაყი 1:1, ეგვიპტე — ლიბერია 2:0, პაკისტანი — კუვეიტი 1:1, მაროკო — ზამბია 1:0, კოტ დივუარი — ლიბია 1:0, კამერუნი — ანგოლა 1:1. ზაირი — ტუნისი 3:1

უცხოეთის ფეხბურთის ახალი ამბები

„11-მეტრიანი? საჭირო არ არის!“

არგენტინული ჟურნალი „გრაფიკო“ შეეკითხა თავის მკითხველებს, როგორ უყურებენ ისინი ქვეყნის პირველობის ახალ რეგლამენტს, როცა ფრე გაუქმებულია და თანაბარი ანგარიშის შემთხვევაში მატჩების ბედი 11-მეტრიანი დარტყმების სერიით წყდება.

გამოკითხულთა 79 პროცენტმა არ მოიწონა 11-მეტრიანი დერტყმების სერიის დანიშვნა, 19 პროცენტმა — მოიწონა, ორმა პროცენტმა კი თავი შეიკავა.

უცხოელები უკეთ თამაშობდნენ

მონტე-კარლოში გაიმართა საინტერესო ამხანაგური მატჩი საფრანგეთის ჩემპიონ „მონაკოსა“ და საფრანგეთში მოთამაშე უცხოელი ფეხბურთელებისაგან დაკომპლექტებულ გუნდს შორის. ამ გუნდში თამაშობდნენ ზიდიატულინი, ჟული-ცეზარი (ბრაზილია), კალდერონი (არგენტინა), ფრანჩესკოლი (ურუგვაი), მატიშიკი (პოლონეთი), ჯონსტონი (შოტლანდია), ვანდენბერგი, ვერკაერტენი (ორივე — ბელგია) და სხვები.

უცხოელებისაგან შედგენილი გუნდის უპირატესობა აშკარა იყო — მან გაიმარჯვა ანგარიშით 4:1.

მეზეი გადადგა

მას შემდეგ, რაც უნგრეთის ნაკრებმა ფრედ (2:2) დაამთავრა მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩი მალტაში ადგილობრივ გუნდთან, სამშობლოში დაბრუნებისთანავე ტელევიზიით გამოვიდა უნგრელთა მთავარი მწვრთნელი დიერდ მეზეი. მან განაცხადა, რომ შექმნილ სიტუაციაში აღარ შეუძლია გუნდის ხელმძღვანელობა და უარი თქვა თავის თანამდებობაზე.

751 უცხოელი!

როგორც პორტუგალიის პრესა იუწყება, 1988 წლის დამლევისათვის ამ ქვეყანაში თამაშობდა 751 უცხოელი ფეხბურთელი. პირველ ლიგაში 177 უცხოელია, მათ რიცხვში 110 ბრაზილიელი, მეორე ლიგაში გამოდის 184 მოთამაშე, აქედან 76 ბრაზილიელია, მესამე ლიგაში — 116 (63 ბრაზილიელი).

აქ უნდა აღინიშნოს ერთი ამბავიც: ბრაზილიელი ფეხბურთელების უმეტესობას ორმაგი მოქალაქეობა აქვს (ბრაზილიისა და პორტუგალიისა). ასეთი მოთამაშეები კლუბებს უცხოელთა ლიმიტში არ ეთვლებათ.

რადიჩე შეეწირა

„ტორინოს“ დაბალ შედეგებს იტალიის მიმდინარე ჩემპიონატში შეეწირა მისი მწვრთნელი, წარსულში ქვეყნის ნაკრების ცნობილი მოთამაშე რადიჩე. მწვრთნელის წინასწარი დაპირებების მიუხედავად „ტორინო“ ვერ იქნა და ვერ მიუახლოვდა ლიდერთა ჯგუფს.

ჩერნაი გაათავისუფლეს

ცნობილი უნგრელი მწვრთნელი, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი პალ ჩერნაი გათავისუფლებულია ბუნდესლიგის კლუბის, მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტის“ მწვრთნელის თანამდებობიდან. მას შეცვლის იორგ ზერგერი, რომელთანაც კონტრაქტი 1990 წლის ივლისამდეა. დადებული.

ჩერნაი აქამდე ბუნდესლიგის რამდენიმე კლუბს ხელმძღვანელობდა.

ავტომობილი — ხავიერ ოსტოლასს

ფირმა „ტოიოტას“ სპეციალური პრიზი — მსუბუქი ავტომობილი ჯილდად ერგო ურუგვაელ ფეხბურთელ ხავიერ ოსტოლასს. იგი აღიარებულია ტოკიოში „პსვ ეინდჰოვენისა“ (ჰოლანდია) და „ნასიონალის“ (ურუგვაი), მატჩის საუკეთესო მოთამაშედ. აქ მან ორი გოლი გაიტანა და თავის გუნდს საკონტინენტთაშორისო თასში გამარჯვება მოუტანა.

„ნასიონალის“ კიდევ ერთი მოთამაშე, ხულიო დე ლეონი თავისებური „ჰეთ-თრიკის“ ავტორი გახდა. იგი სამჯერ (1980, 1983 და 1988 წლებში) იყო „კობა ლიბერტადორესის“ (სამხრეთი ამერიკის ჩემპიონთა თასი) გათამაშებაში გამარჯვებული, სამჯერ კი საკონტინენტთაშორისო თასს დაეუფლა.

„მატჩი“ ბერლუსკონი—საკი

„მილანის“ სერიოზულ მარცხთან დაკავშირებით გამწვავდა ურთიერთობა ამ გუნდის მეპატრონე მილიარდერ ბერლუსკონისა და მწვრთნელ საკის შორის. მიმომხილველები თვლიან, რომ „მილანი“ წლეულს ვერ შეინარჩუნებს ჩემპიონობას და საკის გუნდთან გამოთხოვება მოუხდება, თუ, რა თქმა უნდა, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს არ დაეუფლა.

ჟურნალისტები ასახელებენ საკის მოსალოდნელ შემცვლელს — კაპელის, რომელიც ახლა „მილანის“ ახალგაზრდულ გუნდს წვრთნის.

„მანდელას თასი“

აფრიკის ქვეყნების თასების მფლობელთა თასს ამიერიდან ოფიციალურად ეწოდება სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლი „ნელსონ მანდელას სახელობის თასი“.

ვალდანო „ჯაშუშის“ როლში

არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ სთხოვა თავისი გუნდის ყოფილ წევრს ხორხე ვალდანოს სისტემატურად დაესწროს მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩებს ევროპაში, გადაიღოს ისინი და წარუდგინოს მას დაწვრილებითი ანგარიში. ამრიგად, ვალდანო უკვე ოფიციალურად „ჯაშუში“ ხდება და ხელი უნდა შეუწყოს არგენტინელთა მზადებას ახალი მსოფლიო ჩემპიონატისათვის.

მაიერი — მეკარეთა მწვრთნელი

ზეპ მაიერი, რომელიც აქამდე გფრ-ს ნაკრებში მეკარეთა მწვრთნელის ფუნქციებს ასრულებდა, ახლა გადაყვანილია იგივე სამუშაოზე, ოღონდ თავის ყოფილ კლუბ „ბაიერნში“ (მიუნხენი).

* * *

იუგოსლავიის ნაკრების წევრი ფადილ ვოკარი პირველი ალბანური წარმოშობის ფეხბურთელია, რომელიც ეროვნულ გუნდში მოიწვიეს. ამ ცოტა ხნის წინ ვოკარი ესპანეთის „სარაგოსამ“ შეისყიდა.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნები არგენტინა, ურუგვაი და ბრაზილია ფეხბურთელთა ყველაზე დიდი ექსპორტიორები არიან. ესპანური გაზეთის „დონ პალონის“ ცნობით ბოლო ათი წლის განმავლობაში არგენტინის გუნდებიდან საზღვარგარეთ 700 ფეხბურთელი გაიყიდა, დაახლოებით ამდენივე ურუგვაიდან. რაც შეეხება ბრაზილიას, შარშან და შარშანწინ ეს ქვეყანა 226-მა ფეხბურთელმა დატოვა.

მიუნჰენის „ბაიერნმა“ გაიმეორა „ჰამბურგის“ რეკორდი — ეროვნული ჩემპიონატის პირველი ნახევარი დაუმარცხებლად განვლო. ბუნდესლიგის 25-წლიანი ისტორია ამტკიცებს, რომ პირველ წრეში გამარჯვებული თვრამეტჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

„როგორც ჩანს ბრაზილიელებმა ჭკუა ვერ ისწავლეს“. ასეთი სათაურით გამოაქვეყნა წერილი პარიზის ერთ-ერთ გაზეთში ფრანგმა ჟურნალისტმა. საქმე ის გახლავთ, რომ „ნიკეს თასის“ საიდუმლო მოტაცების შემდეგ ბრაზილიის ფეხბურთის მესვეურებმა დაკარგეს შარშან ბელგიაში მოგებული თასიც. როგორც ცნობილია 1988 წელს ბრაზილიის ნაკრებს ბელგიაში გამარჯვებისთვის ლამაზი ჯილდო გადაეცა. სამშობლოში უკან დაბრუნებისას ეს ჯილდო მოულოდნელად გაქრა თვითმფრინავში.

ინლანდიის ნაკრებისა და „ვალიურის“ თავდამსხმელი ჰავტორ სვენიონსონი მომავალი წლიდან შვეიცის „კალმარის“ ღირსებას დაიცავს.

შვეიცის „გიოტებორგს“ კიდევ ერთი მოთამაშე სტოვებს. ეს გახლავთ თავდამსხმელი ლენარტ ნილსონი, რომელმაც ხელი მოაწერა კონტრაქტს საბერძნეთის „ირაკლისთან“.

ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტმა“ მიმდინარე ჩემპიონატის დაწყების წინ ოთხი უძლიერესი მოთამაშე დაკარგა. ესენია: მსოფლიო ჩემპიონები პუმპიდო (გადავიდა ესპანეთის „ბეტისში“), და რუბერი (ესპანეთის „ლოგრონიესში“), აგრეთვე ურუგვაელები გუტიერესი (იტალიის „ლაციოში“) და ალსამენდი („ლოგრონიესში“). მდგომარეობის გამოსწორების მიზნით არგენტინელებმა მოიწვიეს: მწვრთნელი სესარ მენოტი, თავდამსხმელი ქლაუდიო ბორხი (იტალიის „მილანი“) და მცველი დანიელ პასარელა, რომელსაც თამაშისთვის თავი დანებებული ჰქონდა. როგორც ჩანს, „გოლი“ აღნიშნავს, პასარელა ახლა უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე „ინტერში“ თამაშის დროს.

(სპა. ინფ.).

ს. ნიკოლაძე ლიდერთა შორის

ოდესა (დეპეშით, „ლელოს“ სპეც. კორ.). დაიწყო საბჭოთა კავშირის პირველობა 1971 წელს და შემდეგ დაბადებულ მოჭადრაკე გოგონათა შორის.

შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით 11 ტურად ტარდება, 48 ძონაწილეა. მათ შორის ხუთნი საქართველოს წარმომადგენლები არიან.

კარგად აიღო სტარტი სოფიკო ნიკოლაძემ. მას 2 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი აქვს და ლიდერთა ჯგუფში იმყოფება. სხვა ჩვენი თანამემამულეთა მდგომარეობა ასეთია: ნინო ხურციძე — 1,5 ქულა, ნატო ეიმგვერაძე, დიანა დარჩია — 1-1, მარინე ლებანიძე — 0,5.

თამარ ხუბაშვილი.

ორნლიანი „არდადეგების“ შემდეგ

თბილისში გრძელდება ჭადრაკის სასახლის პირველობის ფინალური ტურნირი.

IV ტურში საინტერესო გამოდგა ოსტატობის კანდიდატების — თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტის კახა პეტრიაშვილისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბოსამზადებელი განყოფილების მსმენელის პაატა ვაშაკიძის შეხვედრა. ისინი სულ რამდენიმე თვეა რაც დაბრუნდნენ სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან. აღსანიშნავია, რომ პაატა ვაშაკიძე ავღანეთში იხდიდა თავის ინტერნაციონალურ ვალს, კახა პეტრიაშვილი კი — გდრ-ში მსახურობდა.

თეთრები დებიუტში მცირე პოზიციურ უპირატესობას დაეუფლნენ და მეტოქის შეფის ფრთაზე წამოიწყეს შეტევა. პ. ვაშაკიძე კარგად იცავდა თავს, მაგრამ მეტოქის მუქარის მოგერიება ვერ შეძლო და თავი დამარცხებულად ცნო.

ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ჭიკაძე-არზუმანოვი — 1:0, კვარაცხელია-ვ. ვაშაკიძე — 0:1, გოგოხია-ლომაძე — 0:1, კარტაშიანი-გოგაძე — 0:1, კაკაბაძე-სიგუა — 0,5:0,5, გადაადო ქსოვრელი-ტახტაროვისა და ნეჩაევ-ჩაჩუას პარტიები.

V ტურში ყველა პარტია შედეგიანი გამოდგა: გოგაძე-ნეჩაევი — 0:1, ვ. ვაშაკიძე-ქსოვრელი — 1:0, სიგუა-კვარაცხელია — 0:1, ლომაძე-პეტრიაშვილი — 0:1, არზუმანოვი-გოგოხია — 0:1, გადაიდო ჩაჩუა-ჭიკაძის, ტახტაროვ-კარტაშიანისა და პ. ვაშაკიძე-კაკაბაძის პარტიები.

შედეგა გადადებული პარტიების დამთავრება — **I ტური:** ტახტაროვი-პეტრიაშვილი — 0,5:0,5; **II ტური:** გოგოხია-სიგუა — 0:1, კაკაბაძე-ტახტაროვი — 0,5:0,5.

5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: კახა პეტრიაშვილი, რევაზ სიგუა — 3,5-3,5, პეკა კვარაცხელია — 3 (1), ვასილ ვაშაკიძე — 3, პაატა ვაშაკიძე — 2,5 (1).

დედაქალაქის პირველობაზე

დაიწყო თბილისის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი. შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ტარდება, მონაწილეობს 33 მოჭადრაკე.

3 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: მაია ხუციშვილი — 2,5, ინგა ხურცილავა, ლია სადუნიშვილი, გიული ალიხანიშვილი, ნინო ქევხიშვილი— 2-2 (1-1), თამარ ფაჩულია—2.

ახალი წიგნი

ბრიტანული წარმოშობის რეგბი, ჩვენს ეროვნულ ლელოს მართლაც ღვიძლი ძმასავით რომ ჰგავს, ბოლო წლებში ქართველი ჰაბუკების საყვარელი სპორტის სახეობა გახდა. მას კვლავ ელის ოლიმპიური თამაშების ოჯახში გაწევრიანება. (რეგბი ადრე ხომ ოთხჯერ იყო ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში შეტანილი) — 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადაზე გაიმართება რეგბისტთა საჩვენებელი გამოსვლები, ხოლო 1996 წელს — თანამედროვე ოლიმპიადების მე-100 წლისთავზე — რეგბის თამაშების ოფიციალურ პროგრამაში შეიტანენ.

საქართველოში, სადაც კი რეგბის ენთუზიასტი მწვრთნელი გამოჩნდება (ფიზკულტურის ინსტიტუტი, როგორც ცნობილია, ჯერჯერობით არ ამზადებს ამ სახეობის მწვრთნელებს), ყმაწვილებს უმალვე მისკენ მიუწევთ გული. ისინი არც უამინდობას უჩივიან, არც მაღალბარისხოვანი ბურთებისა და არც თანამედროვე სპორტული ფორმის უქონლობას: მთავარია, რეგბის სათამაშო ადგილი იყოს.

ჭიდაობის, ფეხბურთის, ხელბურთის, თუ სპორტის სხვა სახეობის ელემენტები ერთადაა თავმოყრილი ამ თამაშში. რეგბის, მის ისტორიას, თამაშის წესებს, ტერმინოლოგიას, სხვადასხვა დიდ თუ პატარა ასპარეზობებს, ქართული რეგბისა და ოვალური ბურთის მრავალ საინტერესო საკითხებსა და საიდუმლოებებზე მოგვითხრობს სპორტული ჟურნალისტის გაბრიელ ბარჯაძის ახალი წიგნი „რეგბი, რეგბი...“. იგი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დასტამბა 5-ათასიანი ტირაჟით. სხვათა შორის, სხვა საკითხთან ერთად 112-გვერდიანი ნაშრომი, რომელსაც სამი ათეული საინტერესო ფოტოილუსტრაციაც ახლავს, პოლიგრაფიულად კარგადაა გამოცემული.

ქართულ რეგბიზე წიგნი ადრე არასდროს გვქონია. ჩვენი რეგბისტების, უფრო ზუსტად კი, ქუთაისის „მშენებლის“ ბოლოდროინდელმა ბრწყინვალე წარმატებებმა მართლაც რომ დაიმსახურეს ამგვარი საჩუქარი. ვფიქრობთ, ეს წიგნი დიდად გაახარებს რეგბის თაყვანისმცემლებს.

ოთარ ოთარაშვილი.

რიგელებმა ტურნე დაამთავრეს

ჰარტფორდი (აშშ, კონეკტიკუტის შტატი). ცსკა-ს ჰოკეისტებმა მორიგი შეხვედრა ჩაატარეს აქ, ნხლს ლიგის ერთ-ერთ წარმომადგენელთან „უილერზთან“ და გამარჯვეს ანგარიშით 6:3 (4:1, 2:1, 0:1).

ბრძოლის ბედი, ფაქტიურად, პირველსავე ტაიმში გადაწყდა. ანგარიში რეი ფერარომ გახსნა, რასაც ზელეპუკინმა, დავიდოვმა, გუსაროვმა და ნემჩინოვმა ოთხი შაიბით უპასუხეს. მეორე პერიოდში არმიელებმა კიდევ ორი შაიბა გაიტანეს (ჩერნიხი, ბიკოვი), მასპინძლებმა კი ერთი (რობერტსონი). მესამე პერიოდი ამერიკელებმა მოიგეს — 1:0 (ანდერსონი), მაგრამ ამით მხოლოდ შეამცირეს სხვაობა ანგარიშში.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელეს ბიკოვი და ფერარო.

მინესოტა. რიგის „დინამომ“ ადგილობრივი „ნორდ სტარზი“ დაამარცხა (2:1) და დაამთავრა ტურნე ორი გამარჯვებითა და ოთხი დამარცხებით.

შეხვედრა ვეტერანებთან

თბილისის სპორტკომიტეტში აღდგა კარგი ტრადიცია. ამიერიდან აქ კვლავ მოიწვევენ ქალაქელ სპორტისა და ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ამაგდარ ადამიანებს, რომლებიც დღესაც მწყობრში არიან და შეძლებისდაგვარად ემსახურებიან საყვარელ საქმეს.

ამ დღეებში თბილისის სპორტკომიტეტში შეხვედრა მოუწყეს ვეტერანებს გ. გამზარდიას, ტ. მესხს და შ. სუხიშვილს. ღვაწლმოსილ ადამიანებს მიულოცეს ახალი წელი, პირადი საიუბილეო თარიღი, გადასცეს ფასიანი საჩუქრები და სიგელები, უსურვეს დღეგრძელობა და წარმატება საქმიანობაში.

ტელეტაიკი — მექიზელი

სინგაპური. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ევროპისა და აზიის უძლიერესი მაგიდის ჩოგბურთელები. განსაკუთრებით კარგად გამოვიდა ევროპის მეორე ნაკრები, რომელმაც დაამარცხა აზიის პირველი გუნდი 5:3. ევროპელთა შორის იორგენ პერსონთან (შვეცია) და დესმონდ. დუგლასთან (ინგლისი) ერთად გამოდიოდა ანდრეი მაზუნოვი. მან მეტად პრინციპული ბრძოლა მოუგო მსოფლიო ჩემპიონს იან იალიანს — 2:1.

მელაუ (ავსტრია). სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიო თასის მორიგ ეტაპზე გამარჯვება მოიპოვა შვეიცარიელმა ფრენი შნაიდერმა. სლალომში ორი ცდის ჯამში მან საუკეთესო დრო აჩვენა— 1.46,12. შნაიდერს საერთო ჩათვლაში 232 ქულა აქვს. ავსტრიელი ულრიკი მაიერი 118 ქულით მეორე ადგილზეა. იუგოსლავიელი მატეია სვეტი — მესამეზე (84 ქულა).

ზონაჯი (გფრ). ორჭიდელ მოთხილამურეთა მსოფლიო თასის მორიგ ეტაპზე ადგილები ასე განაწილდა: 1. ჰიპოლტ კემპფი (შვეიცარია), 2. ანდრეი დუნდუკოვი (სსრ კავშირი), 3. ტრონდ ელდენი (ნორვეგია). კემპფი ლიდერობს საერთო ჩათვლაშიც — 35 ქულა.

ოლიმპიადა

მსოფლიო ჩემპიონატი „პროტოტიპებით“ რბოლაში

შარშან, პარიზში, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის შემოდგომის სხდომაზე გადაწყდა, რომ „პროტოტიპებით“ რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპი გაიმართებოდა სოციალისტურ ქვეყანაში, კერძოდ, ჩეხოსლოვაკიაში, „ბრნოს“ ტრასაზე. 10 ივლისს მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი გახდა მოწმე საინტერესო ასპარეზობისა 360 კმ-იან დისტანციაზე. ამ ეტაპს კი წინ უსწრებდა მსოფლიოში ყველაზე პოპულარული შეჯიბრება — 24-საათიანი რბოლა საფრანგეთში, „ლემანის“ ტრასაზე.

„პროტოტიპებით“ რბოლის ისტორია სწორედ „ლემანით“ იწყება, 1906 წლიდან. ამავე წელს საფრანგეთში ახლად გახსნილ „აუტომობილ კლუბ დე ლ“ უესტის“ თაოსნობით' გათამაშდა პირველი „გრან პრი“. მაშინ 1237 კილომეტრიანი მარათონი მოიგო უნგრელმა ფერენც სისმა, რომელიც „რენოს“ ღირსებას იცავდა.

შემდგომში ორგანიზატორები შეჯიბრების მოწყობის ახალ-ახალ გზებს ეძებდნენ. 1922 წელს გადაწყდა, რომ რბოლები იქნებოდა არა სისწრაფეზე, არამედ გამძლეობაზე. კლუბის ერთ-ერთმა წევრმა დააზუსტა — რბოლა 24 საათის განმავლობაში. წინადადებამ მოწონება დაიმსახურა და მომდევნო წელს ჩატარდა ასეთი სახის შეჯიბრება. ასე დაიბადა ავტოსპორტის ახალი, სპეციალური დისციპლინა.

დრო გადის და „პროტოტიპებიც“ სახეს იცვლიან.

ამჟამად შეჯიბრებები ტარდება 1982 წელს დადგენილი წესების მიხედვით და „C“ კლასის ავტომობილებით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატი ეწოდება.

„პროტოტიპი“ ორადგილიანი სპორტული ავტომობილია, რომელსაც 20 ცალამდე რაოდენობით უშვებენ და მხოლოდ ავტორბოლებისთვისაა განკუთვნილი.

მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება „C-1“ და „C-2“ კლასებში. ეტაპებზე გამარჯვებისთვის საპრიზო ათეულს ერიცხება შესაბამისად 20, 15, 12, 10, 8, 6, 4, 3, 2 და 1 ქულა. თუ პრიზიორთა შორის აღმოჩნდება „C-2“ კლასის ავტომობილით მოასპარეზე სპორტსმენი, მას დამატებით ორქულიანი პრემია ენიჭება.

პირადი და გუნდური ჩემპიონატი, რომლის ეტაპებიც იმართება ევროპაში, იაპონიასა და ავსტრალიაში, ტარდება ყოველ წელს. ამერიკის შეერთებული შტატები თავის ჩემპიონატს ატარებენ. ბოლო დროს სამი სახის რბოლები არსებობს: სპრინტი 360 კმ-ზე, ჩვეულებრივი 1000 კმ-ზე და „ლემანი“, რომელიც 24-საათიანი რბოლის ერთგული დარჩა.

ბოლო დროს, პირად და გუნდურ ჩათვლაში, პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა „ლანჩა“ და „პორშე“.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი „იაგუარის“ პილოტები ღრსეულ წინააღმდეგობას უწევდნენ „პორშეს“, მაგრამ გამოცდილი ტანდემის, ტშუკი — ბელის დამარცხება არც ისე ადვილი იყო. სწორედ მაშინ გავრცელდა ხმა, რომ „პროტოტიპებს“ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია, რომ შეჯიბრებებს არავითარი პერსპექტივა არ აქვს. ამ ამბის კულმინაციური წერტილი იყო გასულ წელს „პორშეს“ ოფიციალური გამოსვლა ასპარეზობიდან.

უცებ, ორი თვის განმავლობაში, მდგომარეობა შეიცვალა, როგორც კი, საქმეში ჩაერთო კონსტრუქტორთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ბერნი ეკლსტორენი. ასოციაციის სხდომაზე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ „პორშე“ არ გამოიყენებს სტარტზე არც ერთ გუნდს, მაგრამ თუ რომელიმე სპორტსმენი შეძლებს იასპარეზოს ამ ავტომობილით, ფირმა მას ყველაფრით მხარს დაუჭერს. შეჯიბრებას დაუბრუნდა „ბე-ემ-ვე“. „მერსედესი“ დიდ იმედს ამყარებდა თავის გუნდებზე, რომლებიც „საუბერისა“ და „კოუროსის“ ბელგიელმა ჯეკი იქსმა, ინგლისელმია დერეკ ბელმა, გერმანელებმა იოჰენ მასმა და სტეფან ბელოფმა (დაიღუპა 1985 წელს). და სხვებმა. სამი წლის წინ „ლიანჩამ“ მიატოვა რბოლები და მის ნაცვლად ასპარეზობაში ჩაერთო „იაგუარი“.

გასულ წლამდე კონკურენციის გარეშე იყო „პორშე“. საპატიო კვარცხლბეკზე მხოლოდ ამ ფირმის ავტომობოლები იკავებდნენ ადგილებს. ესენი იყვნენ ჰანს-იოჰიმ შტუკი, დერეკ ბელი, სტეფან ბელოფი და ჯეკი იქსი. 1986 წელს ხელით გამოდიოდნენ. „იაგუარის“ ოცნება იყო გასული წლის წარმატების გამეორება.

ავტომრბოლთა შორის, რომლებიც მონაწილეობდნენ ჩემპიონატში, ბევრია „ფორმულა 1“ კლასში მოასპარეზე. ამიტომაც ორივე ჩემპიონატის კალენდარი ისე შედგა, რომ ეტაპების ჩატარების დრო ერთმანეთს არ დამთხვეოდა. ნელსონ პიკეს, ნაიჯელ მენსელის, ალენ პროსტის, აირტონ სენას, გერჰარდ ბერგერისა და მიქელა ალბორეტოს გარდა ყველა დანარჩენი ორივე სახის ჩემპიონატში მონაწილეობს. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ჰანს შტუკი, დერეკ ბელი, კლაუს ლუდვიგი და ბობ უოლეკი, 24-საათიანი რბოლების სპეციალისტებად ითვლებიან.

გასულ წელს დაუმარცხებლად ასპარეზა „იაგუარმა“. მსოფლიო ჩემპიონი პირად ჩათვლაში გახდა ბრაზილიელი რაულ ბოესელი, მეორე ადგილი დაიკავა ირლანდიელმა ჯონ უოტსონმა. მათ გარდა პრიზიორებს შორის იყვნენ დანიელი იან ლამერსი, ამერიკელი ედი ჩივერი, ინგლისელი დერეკ ბელი. გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა „იაგუარი“ ტომ უოკინშოუს ხელმძღვანელობით.

შარშან მსოფლიო ჩემპიონატის 11 ეტაპი გათამაშდა. შეჯიბრება დაიწყო 6 მარტს, ესპანეთში, „ხერესის“ ტრასაზე რბოლებით და დამთავრდა 20 ნოემბერს, ავსტრალიაში, „სანდაუნის“ ტრასაზე. პირად ჩათვლაში 7 საუკეთესო შედეგი ითვლებოდა, ხოლო გუნდურში — ყველა მოპოვებული ქულები.

შარშანდელი სეზონი შესანიშნავად ჩაატარეს „იაგუარმა“ და „მერსედესმა“. პირველმა, ზედიზედ მეორედ, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა პირად და გუნდურ ჩათვლებში, მეორემ — ვიცე-ჩემპიონის.

დავით ჩუბინიძე.

ჩოგბურთის ამბები

ადელაიდა. სამხრეთ ავსტრალიის შტატის ღია ჩემპიონატში გამარჯვება მოიპოვა ამ ქალაქის მკვიდრმა მარკ ფუდფორდმა. მან ნახევარფინალში კალინანგრადელი ალექსანდრე ვოლკოვი დამარცხა 6:2, 7:5, გადამწყვეტ შეხვედრაში კი დასავლეთგერმანელ პატრიკ კიუნენს აჯობა 7:5, 1:6, 7:5. შეგახსენებთ, რომ ფუდფორდმა შარშანაც მოიგო ეს ტურნირი.

ბრისბენი. ავსტრალიის ამ ქალაქში ქალთა ტურნირი მიმდინარეობდა. ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანმა, ჩეხოსლოვაკიელმა ჰელენა სუკოვამ და უიმბლდონის ტურნირის გოგონათა შეჯიბრებაში გამარჯვებულმა, 16 წლის ჰოლანდიელმა ბრენდა შულცმა. გამოცდილმა ჩეხოსლოვაკიელმა ჩოგბურთელმა ბრძოლა დიდი გაჭირვებით მოიგო — 7:6, 7:6.

16-19 იანვარს მელბურნში დაიწყება სეზონის პირველი დიდი ტურნირი — ავსტრალიის ღია ჩემპიონატი, რომელშიც გამოვლენ მსოფლიოს უძლიერესი ქალი და ვაჟი ჩოგბურთელები. მანამდე კი გაიმართება კიდევ ერთი საკონტროლო შეჯიბრება, რომელსაც სიდნეი უმასპინძლებს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „ჭართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ბოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

უე 05686